”საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”-ს 49-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის 2025 წლის ანგარიშს.

- ✓ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების/წერილების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 44 ერთეული. საჯარო ინფორმაციაში შესწორების ან/და შეტანის თაობაზე არ მოუმართავთ;
- ✓ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული 39 განცხადება/წერილი სრულად დაკმაყოფილდა. ოთხი განცხადება ამჟამად განხილვის ეტაპზეა. ერთ შემთხვევაში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებს შეიცავდა, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის („საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი) თანახმად, განმცხადებელს ინფორმაციის მიწოდებაზე უარი ეთქვა. აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებლის მხრიდან არ გასაჩივრებულა.
- ✓ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თქმის გადაწყვეტილებას იღებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი/ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ილონა ხვიჩია
- ✓ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ პერსონალური მონაცემები დაცულია ფონდის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში, სპეციალურად გამოყოფილ, უსაფრთხო ადგილას. პერსონალური მონაცემების სხვა პირზე გაცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ინფორმაციის დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში შენახვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ✓ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომელთა მხრიდან” საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებს დისციპლინური სახდელი არ დაკისრებიათ.